

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის
კომერციული ოპერატორი“

2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ დირექტორთა საბჭოს

დასკვნა

ჩვენ მოვახდინეთ სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის და შენიშვნებს, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ მაჩვენებლებსა და ფულად ნაკადებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ები) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის თავში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ „კომპანიისგან“ დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაბამის საფუძველს.

მმართველობითი ანგარიში

წელმდგვანელობა პასუხს აგებს „მმართველობით ანგარიშზე“. ჩვენი დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს „მმართველობითი ანგარიშის“ წავითხვას და, შესაბამისად, იმის განსაზღვრას არის თუ არა „მმართველობითი ანგარიში“ არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნასთან მიმართებაში, ან სხვაგვარად ხომ არ მოიცავს ის არსებით უზუსტობებს.

ჩვენ არ გავცემთ არანაირი სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობით ანგარიშთან დაკავშირებით. ჩვენ გავცემით „მმართველობით ანგარიშს“ და ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოს მიხედვით ჩვენ გამოგვაქვს დასკვნა, რომ მმართველობითი ანგარიშ:

- შესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ და მასთან შესაბამისობაში მყოფ ყველა ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს „კომპანიის“ საქმიანობის უწყვეტობის უნარი, საჭიროებისამებრ გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის აღნიშნული პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს „კომპანიის“ ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს ოპერაციები, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური აღტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული ქმედებებისა.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობებს ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი, რომ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასე-ს შესაბამისი აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრას გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა ჯგუფის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით განუსაზღვრელობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს „კომპანიის“ საქმიანობის უწყვეტობის უნარი, თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენ მიერ აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიმულოს „კომპანია“, შეწყბიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი შედეგების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში შიდა კონტროლის მექანიზმებში აღმოჩენილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული „დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა“ გაიცა, არის:



**სს „კლუბტროუნერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
მირითადი საშუალებები	11	463,345	195,361
არამატერიალური აქტივები		159,798	107,015
სხვა გრძელვადიანი აქტივები		4,157	3,597
გრძელვადიანი აქტივები		627,300	305,973
მარაგები		438	1,383
მიმდინარე საგადასახადო აქტივები		-	3,642,080
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	73,481,201	35,117,230
ფულადი სახსრები და მათი კვივალენტები	13	12,828,155	13,414,057
მიმდინარე აქტივები		86,309,794	52,174,750
სულ აქტივები		86,937,094	52,480,723
 კაპიტალი	 14		
სააქციო კაპიტალი		87,309	87,309
სააქციო კაპიტალში არაფულადი			
შენატანების რეზერვი		(15,660)	(15,660)
მირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		250,150	201,327
გაუნაწილებელი მოგება		13,450,570	16,635,516
სულ კაპიტალი		13,772,369	16,908,492
 ვალდებულებები	 15		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		73,096,789	35,572,231
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		67,936	-
მიმდინარე ვალდებულებები		73,164,725	35,572,231
სულ ვალდებულებები		73,164,725	35,572,231
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		86,937,094	52,480,723

**სს “კლუტროენურგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი”
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლისათვის**

ლარი	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	6	527,660,501	501,759,526
რეალიზებული საქონლის / გაწეული მომსახურების თვითოღირებულება	6	(520,825,060)	(494,293,910)
სრული მოგება		6,835,441	7,465,616
სხვა შემოსავალი		638,990	2,029,120
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(4,188,700)	(4,089,457)
უიმედო ვალის ხარჯის აღდგენა, ნეტო გაუფასურების ზარალი სავაჭრო	9	-	2,669,218
მოთხოვნებზე	9	(5,062,542)	-
შედეგები საოპერაციო საქმიანობიდან		(1,776,811)	8,074,497
ფინანსური შემოსავალი	7	2,081,413	1,998,660
ფინანსური ხარჯები	7	(142,207)	-
წმინდა ფინანსური შემოსავალი		1,939,206	1,998,660
მოგება დაბეგვრამდე		162,395	10,073,157
მოგების გადასახადის ხარჯი	10	(112,741)	-
მოგება წლის განმავლობაში		49,654	10,073,157
სხვა სრული შემოსავალი			
ერთეულები, რომლებიც არასოდეს იქნება კლასიფიცირებული მოგებად ან ზარალად ძირითადი საშუალებების გადაფასება	11	48,823	-
სხვა სრული შემოსავალი, მოგების გადასახადის გამოკლებით		48,823	-
სულ მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		98,477	10,073,157

* კომპანიამ თავდაპირველად ფასს 15 და ფასს 9 2018 წლის 1 იანვარს გამოიყენა. გადასვლის შერჩეული მეთოდის შედეგად, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული, იხილეთ შენიშვნა 3.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ
2019 წლის 5 აგვისტოს და მისი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:


ზაზა დვალიშვილი

გენერალური დირექტორის
მოვალების შემსრულებელი


ხათუნა ჩადუნელი
ბუღალტრული აღრიცხვა
ანგარიშგების დეპარტამენტის
უფროსი

სს “ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი”
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლისათვის

ლარი

ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს
სულ სრული შემოსავალი წლის
განმავლობაში
მოგება წლის განმავლობაში
სულ სრული შემოსავალი წლის
განმავლობაში
პირდაპირ კაპიტალში ასახული
ოპერაციები მესაკუთრეებთან
დივიდენდები
სულ პირდაპირ კაპიტალში
ასახული ოპერაციები
მესაკუთრეებთან
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს

ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს*
სულ სრული შემოსავალი წლის
განმავლობაში
მოგება წლის განმავლობაში
სხვა სრული შემოსავალი
ძირითადი საშუალებების
გადაფასება (შენიშვნა 11)
სულ სრული შემოსავალი წლის
განმავლობაში
პირდაპირ კაპიტალში ასახული
ოპერაციები მესაკუთრეებთან
დივიდენდები (შენიშვნა 14(b))
სულ პირდაპირ კაპიტალში
ასახული ოპერაციები
მესაკუთრეებთან
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს

საჯერო კაპიტალი	არაფულადი შენატანის რეზერვი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი			სულ კაპიტალი
		გაუნაწილებელი მოგება	სულ	კაპიტალი	
87,309	(15,660)	201,327	6,586,359	6,859,335	
-	-	-	10,073,157	10,073,157	
-	-	-	10,073,157	10,073,157	
-	-	-	(24,000)	(24,000)	
-	-	-	(24,000)	(24,000)	
87,309	(15,660)	201,327	16,635,516	16,908,492	
87,309	(15,660)	201,327	16,635,516	16,908,492	
-	-	-	49,654	49,654	
-	-	48,823	-	48,823	
-	-	48,823	49,654	98,477	
-	-	-	(3,234,600)	(3,234,600)	
-	-	-	(3,234,600)	(3,234,600)	
87,309	(15,660)	250,150	13,450,570	13,772,369	

* კომპანიამ თავდაპირველად ფასს 15 და ფასს 9 2018 წლის 1 იანვარს გამოიყენა. გადასვლის შერჩეული მეთოდის შედეგად, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული, იხილეთ შენიშვნა 3.

სს “ელექტროენერგეტიკული სისტემის კომისიუნიო თავმატორი”
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლისათვის

ლარი	შენიშვნები	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება წლის განმავლობაში		49,654	10,073,157
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	11	135,466	75,089
გაუფასურების ზარალი სავაჭრო მოთხოვნებზე	9	5,062,542	230,057
წმინდა ფინანსური შემოსავალი	7	(1,939,206)	(1,998,660)
მოგების გადასახადის ხარჯი		112,741	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის და ანარიცხების ცვლილების განხორციელებამდე		3,421,197	8,379,643
ცვლილება მარაგებში		945	115
ცვლილება სხვა გრძელვადიან აქტივებში		(560)	1,735
ცვლილება მიმდინარე საგადასახადო			
ვალდებულებებში/აქტივებში		3,597,275	(3,642,080)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(43,013,012)	16,846,467
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) ფულადი სახსრები		33,858,530	(20,098,249)
მოგების გადასახადის გადახდამდე		(2,135,625)	1,487,631
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		(2,135,625)	1,487,631
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული პროცენტი		2,081,413	1,640,941
ძირითადი საშუალებების შეძენა		(303,307)	(37,706)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(97,362)	(74,887)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		1,680,744	1,528,348
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან გადახდილი დივიდენდები		(3,000)	(24,000)
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული ფინანსურ საქმიანობაში		(3,000)	(24,000)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		(457,881)	2,991,979
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით		13,414,057	10,392,971
ვალუტის კურსის ცვალებადობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(128,021)	29,107
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	13	12,828,155	13,414,057

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად,
რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია
10 - 39 გვერდებზე.

შენიშვნა	გვერდი	შენიშვნა	გვერდი
1 ანგარიშგების წარმდგენი საწარმო	11	9 უიმედო ვალის ხარჯი/(უიმედო ვალის ხარჯის აღდგენა)	29
2 მომზადების საფუძველი	12	10 მოგების გადასახადი	30
3 ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში	13	11.ძირითადი საშუალებები	31
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	15	12.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	32
5 ახალი სტანდარტები და ახსნა- განმარტებები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული	25	13.ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	32
6 შემოსავალი და გაყიდვების თვითღირებულება	26	14 კაპიტალი და რეზერვები	32
7. წმინდა ფინანსური შემოსავალი	29	15 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	33
8 ადმინისტრაციული ხარჯები	29	16 სამართლიანი ღირებულება და რისკის მართვა	33
		17 პირობითი ვალდებულებები	37
		18 დაკავშირებული მხარეები	38

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(a) ორგანიზაცია და საქმიანობა

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა საქართველოში 2006 წლის 1 სექტემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. 2011 წლის 18 აგვისტოს შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ სააქციო საზოგადოებად გარდაიქმნა, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 10 აგვისტოს #142 ბრძანების საფუძველზე. „კომპანიის“ რეგისტრაციის ნომერია: 205170036.

„კომპანიის“ იურიდიული მისამართია: ბარათაშვილის ქუჩა №2, თბილისი, საქართველო.

„კომპანიის“ ძირითადი საქმიანობა მოიცავს საბალანსო ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის ყიდვა-გაყიდვას, ელექტროენერგიის იმპორტ/ექსპორტს და საქართველოში ელექტროენერგიის შესყიდვა-რეალიზაციის პროცესების ხელშეწყობას.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2010 წლის სექტემბრიდან ქვეყნის ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობას, უსაფრთხო და საიმედო ფუნქციონირებას ემსახურება გარანტირებული სიმძლავრე. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს წარმოადგენს თბოელექტროსადგურები, რომლებიც უნდა აქმაყოფილებდეს კანონმდებლობით განსაზღვრულ ტექნიკურ პარამეტრებს. თერმული გარანტირებული სიმძლავრის მინიმალური რაოდენობა თითოეული წყაროსთვის და პერიოდისთვის განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ. „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესები“-ს მიხედვით, გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობა ხორციელდება მხოლოდ „კომპანიის“ მიერ. 2014 წლის 31 აგვისტომდე ზემოთხსენებულ ოპერაციებში „კომპანია“ მოქმედებდა როგორც აგენტი და არა როგორც პირდაპირი გამყიდველი. მას შემდეგ, რაც 2014 წლის 1 სექტემბერს კანონმდებლობაში ცვლილებები შევიდა, „კომპანია“ მოქმედებს გარანტირებული სიმძლავრის ოპერაციებში როგორც პირდაპირი გამყიდველი.

„კომპანიის“ ძირითადი საქმიანობის განსაზღვრულია „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“.

„კომპანიის“ დამფუძნებელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა საქართველოს მთავრობა. „კომპანიის“ 100%-იანი წილის მფლობელია სს „საპარტნიორო ფონდი“, რომელიც მთლიანად სახელმწიფო მფლობელობაშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები განხილულია მე-18 შენიშვნაში.

(b) საქართველოს ბიზნეს გარემო

„კომპანიის“ საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, „კომპანია“ დამკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენს განვითარებადი ქვეყნის ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზრები ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზე და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რომლებიც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, სირთულეებს უქმნის საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე კომპანიებს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას „კომპანიის“ ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძველი

(a) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად.

ეს არის კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგება სადაც გამოყენებულია ფასს 15 „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ და ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“. ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში აღწერილია მე-3 შენიშვნაში.

(b) სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც „კომპანიის“ სამუშაო ვალუტას წარმოადგენს. შესაბამისად, მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარში. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს სავალუტო ერთეულამდე.

(c) შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-თან შესაბამისობაში, რაც ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს ისეთი მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაზე და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და წებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომელიც გამოიყენება სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისას და რომელთაც აქვთ ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შენიშვნებში:

- შენიშვნა 6- საქართველოს მთვარობის დადგენილებით N 923, კომპანია მოქმედებს როგორც აგენტი.
- შენიშვნა 16(b)(ii) – სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხი.

ინფორმაცია იმ ვარაუდებისა და შეფასებასთან დაკავშირებული უზუსტობების შესახებ, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილებების მნიშვნელოვანი რისკის წინაშე დგანან, განხილულია შემდეგ შენიშვნებში: შენიშვნა 16(b)(ii) - სავაჭრო მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის შეფასება.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით:

- დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) აქტიურ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის.
- დონე 2: მონაცემები გარდა პირველ დონეში შემავალი მონაცემებისა, რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული).
- დონე 3: მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეყრდნობა დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლოა სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

დამატებითი ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ მოცემულია მე-16 შენიშვნაში - სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა.

3. ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში

კომპანიამ ფასს 15 (იხ. (A)) და ფასს 9 (იხ. (B)) თავდაპირველად 2018 წლის 1 იანვრიდან გამოიყენა. რიგი სხვა ახალი სტანდარტებიც შევიდა ძალაში 2018 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არ იქნიეს არსებითი ზეგავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

კომპანიის მიერ ამ სტანდარტების გამოყენებისას შერჩეული გადასვლის მეთოდებიდან გამომდინარე, შესაძარისი ინფორმაცია მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებებში არ არის გადაანგარიშებული ახალი სტანდარტების მოთხოვნების ასახვის მიზნით.

A. ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ფასს 15 ადგენს ერთიან ჩარჩოს იმის განსასაზღვრად თუ რა ოდენობის შემოსავალი იყო აღიარებული და როდის ჰქონდა აღნიშნულს ადგილი. სტანდარტი ცვლის არსებულ მეთოდურ მითითებებს შემოსავლების აღიარების თაობაზე, მათ შორის, ბასს 18 შემოსავალი, ბასს 11 სამშენებლო ხელშეკრულებები და დაკავშირებულ ახსნა-განმარტებებს. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავალი აღიარდება მაშინ როდესაც მომხმარებელს გადაეცემა საკუთრების უფლება საქონელზე ან მომსახურებაზე. საკუთრების გადაცემის მომენტის დასადგენად - დროის გარკვეულ მომენტში თუ გარკვეული პერიოდის განმავლობაში - სჭირდება განსჯა.

კომპანიამ დაიწყო ფასს 15-ის გამოყენება კუმულაციური ეფექტის მეთოდის გამოყენებით (პრაქტიკული მიზანშეწონილობის გარეშე). მოცემული სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების გავლენა აღიარდება 2018 წლის 1 იანვარს. შესაბამისად, 2017 წელს წარმოდგენილი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული - ანუ, წარმოდგენილია, როგორც ზემოთ ნახსენებია, ბასს 18-ში, ბასს 11-ში და მსგავს ახსნა-განმარტებებში. დამატებით, ფასს 15-ის განმარტებითი მოთხოვნები არ არის ზოგადად გამოყენებული შესაძარის ინფორმაციაზე.

ფასს 15-ს არ ჰქონია არსებითი გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკებზე შემოსავლის ერთადერთ წყაროსთან - ელექტროენერგიის რეალიზაციასთან მიმართებაში (იხ. შენიშვნა 6), მაშასადამე ფასს 15-ზე გადასვლას 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არ ჰქონია გავლენა გაუნაწილებელ მოგებაზე ან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ან მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე ან ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაზე 2018 წლისთვის. ფასს 15-ზე გადასვლის შედეგად არ ყოფილა აღიარებული სახელშეკრულებო აქტივები/ვალდებულებები.

დამატებითი ინფორმაციისთვის კომპანიის შემოსავლების აღიარებასთან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ იხილეთ შენიშვნა 6.

B. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 აწესებს ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებების, და ზოგიერთი არა-ფინანსური აქტივების შესყიდვა/გაყიდვის ხელშეკრულებების, აღიარების და შეფასების მოთხოვნებს. ეს სტანდარტი ანაცვლებს ბასს 39-ს ფინანსური ინსტრუმენტები აღიარება და შეფასება.

ფასს 9-ის გამოყენების შედეგად, კომპანიამ შესაბამისი კორექტირებები შეიტანა ბასს 1-ში ფინანსური ანგარიშგების წარდგენა. ეს კორექტირება მოითხოვს, რომ ფინანსური აქტივების გაუფასურება მოგება ან ზარალის უწყისში და სხვა სრულ შემოსავალში ასახული იყოს ცალკე კატეგორიად. ადრე კომპანიის მიდგომა იყო სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების „სხვა ხარჯებში“ ასახვა.

ფასს 9-ზე გადასვლას არ ჰქონია გავლენა გაუნაწილებელ მოგებაზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

(i) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და აღრიცხვა

ფასს 9 მოიცავს სამ მირითად კლასიფიკაციის კატეგორიას ფინანსური აქტივებისათვის: ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფასს 9-ის მიხედვით ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია მირითადად დაფუძნებულია იმ ბიზნეს მოდელზე რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივის სამართავად და მის სახელეკრულებო ფულადი ნაკადების მახსიათებლებზე. ფასს 9 აუქმებს ბასს 39 -ს დროს გამოყენებულ კატეგორიებს როგორიცაა ხანდაზმულობის ვადის მიხედვით, სესხები და მოთხოვნები და გასაყიდად ხელმისაწვდომი. ფასს 9-ის მიხედვით, ხელშეკრულებებში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები, რომლის საგანსაც ფინანსური აქტივი წარმოადგენს, სტანდარტის მიზნებისთვის არ განცალკევდება. ნაცვლად ამისა, კლასიფიკაციის მიზნებისათვის ფასდება ჰიბრიდული ფინანსური ინსტრუმენტი როგორც ერთი მთლიანობა.

ფასს 9 მირითადად ინარჩუნებს ბასს 39-ში არსებულ მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და აღრიცხვასთან მიმართებაში.

ახსნა-განმარტებებს თუ როგორ აღრიცხავს და აკლასიფიცირებს კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებს, აღრიცხავს ცვლილებებს და შესაბამის შემოსულობასა და ზარალს ფასს 9-ის მიხედვით, იხილეთ შენიშვნა 4.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები რომლებიც ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდებოდა როგორც სესხები და მოთხოვნები, ეხლა კლასიფიცირდება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფასს 9-ის გამოყენებას არ ჰქონია არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებულ სააღრიცხვო პოლიტიკებზე.

(ii) ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9 ანაცვლებს ბასს 39-ის „გაწეული ზარალის“ მოდელს „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ (მსზ) მოდელით. ახალი გაუფასურების მოდელი ვრცელდება ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებულ სახელშეკრულებო აქტივებზე და ვალის ინვესტიციებზე, მაგრამ არა ინვესტიციებზე კაპიტალის ინსტრუმენტებში. ფასს 9-ის მიხედვით, საკრედიტო ზარალი აღიარდება უფრო ადრე ვიდრე ბასს 39-ის გამოყენებისას - იხილეთ შენიშვნა 3(b).

ფასს 9-ის გაუფასურების მოდელის მიზნებისათვის აქტივების გაუფასურების ზარალი მოსალოდნელია გაიზარდოს და გახდეს უფრო არასტაბილური. კომპანიამ დაადგინა, რომ ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნების გამოყენება 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არ იწვევს გაუფასურების რეზიუმეს არსებით ზრდას.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ მოყვანილი სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენება „კომპანიის“ მიერ, მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

(a) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში არსებული ტრანზაქციები კონვერტირებულია „კომპანიის“ სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დროს არსებული კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით, „კომპანიის“ სამუშაო ვალუტაში. უცხოური ვალუტით მიღებული მოგება ან ზარალი ფულად მუხლებზე, წარმოადგენს პერიოდის დასაწყისში არსებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული მოქმედი ვალუტის ამორტიზირებული ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებული ღირებულების სხვაობას.

არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლის სამართლიანი ღირებულება უცხოურ ვალუტაშია შეფასებული, გადაყვანილია სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღისათვის არსებული შესაბამისი კურსით. არაფულადი ერთეულები, რომლის ისტორიული ღირებულება უცხოურ ვალუტაშია შეფასებული, გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების თარიღისათვის არსებული შესაბამისი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება ან ზარალში, გარდა გასაყიდად გამიზნული წილობრივი ინსტრუმენტისა, რომლის შესაბამისი საკურსო სხვაობა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

(b) ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 აწესებს ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებების, და ზოგიერთი არა-ფინანსური აქტივების შესყიდვა/გაყიდვის ხელშეკრულებების, აღიარების და შეფასების მოთხოვნებს. ეს სტანდარტი ანაცვლებს ბასს 39-ს ფინანსური ინსტრუმენტები აღიარება და შეფასება.

(i) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და აღრიცხვა

ფასს 9 ძირითადად ინარჩუნებს ბასს 39-ში არსებულ მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან მიმართებაში. თუმცა ის აუქმებს ბასს 39 -ის დროს გამოყენებულ ფინანსური აქტივების კატეგორიებს როგორიცაა ხანდაზმულობის ვადის მიხედვით, სესხები და მოთხოვნები და გასაყიდად ხელმისაწვდომი.

ფასს 9-ის მიხედვით, თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება: ამორტიზირებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლში ასახვით - ვალის ინვესტიცია; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლში ასახვით - კაპიტალის ინვესტიცია; ან სამართლიანი ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფასს 9-ის მიხედვით, როგორც წესი ეფუძნება ბიზნეს მოდელს რომლის ფარგლებშიც იმართება ფინანსური აქტივი და მის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს შემდგომ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც შეფასებული სამართლიანი ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით:

- აქტივი განკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაზე ფასს 9-ის გამოყენების გავლენა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით უკავშირდება მხოლოდ ახალ გაუფასურების მოთხოვნებს, როგორც აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება - ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით თუ ის არის სავაჭროდ გამიზნული, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად პირველადი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით აღიარებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა მოგება და ზარალი, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, ~აღიარებულია მოგება ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებისგან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება ან ზარალის ანგარიშებაში. ნებისმიერი მოგება ან ზარალი აღიარების შეწყვეტისას ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ცვლილება

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები იცვლება, კომპანიამ უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა შეცვლილი აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილება (ეგრეთ წოდებული „არსებითი ცვლილება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივი ჩამოიწერება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

კომპანია ახორციელებს მოცემული ცვლილების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუარა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები შეცვლილი ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. კომპანია აფასებს არსებითია თუარა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს კომპანია ფინანსური ვალდებულებების ჩამოწერის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

კომპანია ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება უზრუნველყოფაში ან სხვა სასესხო უზრუნველყოფაში;

თუ შეცვლილი აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები, აღრიცხული ამორტიზირებული ღირებულებით, არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ ცვლილების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, კომპანია ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს როგორც მოგების ან ზარალის კორექტირებას მოგება ან ზარალის ანგარიშებაში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა ითვლება როგორც შეცვლილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს შეცვლილ ფინანსურ აქტივს და არის ამორტიზირებული შეცვლილი ფინანსური აქტივის დარჩენილი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსურ ვალდებულების აღიარებას როდესაც იცვლება მისი პირობები და არსებითად განსხვავდება შეცვლილი ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი შეცვლილ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა ჩამოწერილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ შეცვლილ პირობებიან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ ცვლილება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას კომპანია იყენებს ფინანსური აქტივის სრული საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. როდესაც ცვლილება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას კომპანია აღიარებს ესეთი ცვლილებიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, ცვლილების (გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა კორექტირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, კომპანია ხელმძღვანელობს მცირებულების საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც.

კომპანია აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. კომპანია ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ფინანსური ვალდებულების კურსის ცვლილება;
- ცვლილება უზრუნველყოფაში ან სხვა სასესხო უზრუნველყოფაში;
- კონვერტაციის შესაძლებლობის დამატება;
- ცვლილება ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციაში.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ ვალის ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების ცვლილება მიჩნეულია ვალის განულებად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აღიარებულია ვალის განულებიდან მიღებულ მოგებასა ან ზარალში. თუ გაცვლა ან ცვლილება არ არის მიჩნეული ვალის განულებად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზირებულია შეცვლილი ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც ფინანსური აქტივიდან მიღებულ სახელშეკრულებო უფლებებს ფულად ნაკადებზე გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, რომელშიც თითქმის ყველა რისკი და აქტივის ფლობის ანაზღაურება მოიაზრება, ან როდესაც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე უფლებებს.

კომპანია დებს გარიგებებს რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს ვადა გასდის, უქმდება ან თავის უფლდება. კომპანია ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები იცვლება და შეცვლილი ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც კორექტირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი არაფულატი აქტივების და ვალდებულებების გადაცემის ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

(i) ფინანსური აქტივების გაუფასურება

2018 წლის 1 იანვრიდან გამოყენებული პოლიტიკა

ფასს 9 ანაცვლებს ბასს 39-ის „გაწეული ზარალის“ მოდელს „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ (მსზ) მოდელით. ახალი გაუფასურების მოდელი ვრცელდება ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, სახელშეკრულებო აქტივებზე. ფასს 9-ის მიხედვით, საკრედიტო ზარალი აღიარდება უფრო ადრე ვიდრე ბასს 39-ის გამოყენებისას.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები შედგება სავაჭრო მოთხოვნებისგან და ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისგან.

ფასს 9-ის მიხედვით, ზარალის რეზერვები ფასდება შემდეგი მეთოდებიდან ერთ-ერთით:

- 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევებისაგან; და

ს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“
2018 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

- არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი დამატებითი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს როდესაც მას 25 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ როდესაც:

- არ არის სავარაუდო რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია, მოთხოვნის ტიპის მიხედვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის ალბათობაზე დაფუძნებული სავარაუდო საკრედიტო ზარალი. საკრედიტო ზარალი აღირიცხება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე დირებულებით (ანუ სხვაობა ორგანიზაციიდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების წარდგენა

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე აღიარებული ზარალის რეზერვები აკლდება აქტივების მთლიან საბალანსო ღირებულებას.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოწერილია როდესაც კომპანიას აღარ აქვს მისი მთლიანობაში ან ნაწილობრივ ამოღების იმედი. კომპანია ინდივიდუალურად აფასებს ჩამოსაწერ ღირებას და ვადებს, იმის მიხედვით არის თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა რომ მოხერხდება თანხის ამოღება. კომპანია აღარ ელის მნიშვნელოვანი ღირენობის ამოღებას ჩამოწერილი თანხიდან. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას კომპანიის მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული პოლიტიკა

(ii) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები შედგება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა და ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისგან.

„კომპანია“ თავდაპირველად ახდენს მოთხოვნებისა და დეპოზიტების აღიარებას მათი წარმოშობის დღეს. ყველა სხვა ფინანსური აქტივების აღიარება თავდაპირველად ხდება ვაჭრობის დღეს, როდესაც „კომპანია“ ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

„კომპანია“ წყვეტს მისი ფინანსური აქტივის აღიარებას, როცა ვადა გასდის სახელშეკრულებო უფლებებს აქტივიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე, ან თუ ის გადასცემს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ოპერაციაში, რომელშიც გადაეცემა არსებითად ყველა რისკი და ფინანსური აქტივის ფლობის ანაზღაურება. ნებისმიერი პროცენტი გადაცემულ ფინანსურ აქტივზე, რომელსაც ქმნის ან ინარჩუნებს „კომპანია“, აღიარდება ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

კომპანია აკლასიფიცირებს თავის არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს როგორც სესხებს და მოთხოვნებს.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები ფინანსური აქტივების კატეგორიას განეკუთვნებიან, ფიქსირებული ან ცვლადი გადახდებით, რომელთა კოტირება აქტიურ ბაზარზე არ ხდება. მსგავსი აქტივები თავდაპირველად აღიარდება, როგორც სამართლიან ღირებულებას დამატებული მასთან პირდაპირ დაკავშირებული ნებისმიერი ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

სესხები და მოთხოვნების კატეგორია მოიცავს ფინანსური აქტივების შემდეგ კლასებს: სავაჭრო და სხვა მოთხოვნები როგორც ასახულია მე-12 შენიშვნაში და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები როგორც ასახულია მე-13 შენიშვნაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს და საბანკო ნაშთებს თავდაპირველი 3 თვიანი ან ნაკლები ხანდაზმულობით.

(iii) არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები შედგება სავაჭრო და სხვა ვალდებულებისგან.

(c) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი რომელიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, ფასდება ანგარიშგების თითოეულ თარიღში იმის განსასაზღვრად, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი გაუფასურებულად ითვლება, თუ ობიექტური მტკიცებულება მიუთითებს, რომ აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ მოხდა მისი გაუფასურება, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია აქტივიდან მისაღებ მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელთა საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ფინანსური აქტივის (ფასიანი ქაღალდების ჩათვლით) გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შესაძლოა მოიცავდეს მევალის მხრიდან ვადაგადაცილებას ან საერთოდ უარის თქმას ვალის დაფარვაზე, კომპანიის მხრიდან ვადაგამდგარი მოთხოვნების რესტრუქტურიზაციას ისეთი პირობით, რომ კომპანია სხვაგარად არ განსაზღვრავს, ნიშნები იმისა, რომ მოვალე გაკოტრდება, ეკონომიკური პირობები რომელიც დეფოლტს უკავშირდება ან უზრუნველყოფის აქტიური ბაზრის გაქრობა. ასევე, ფასიან ქაღალდებში ინვესტირების შემთხვევაში, მისი სამართლიანი ღირებულების თვითღირებულებაზე დაბლა არსებითი ან განგრძობითი კლება წარმოადგენს გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას.

სესხები და მოთხოვნები

კომპანია განიხილავს სესხების და მოთხოვნების გაუფასურების მტკიცებულებას როგორც თითოელი აქტივის დონეზე ასევე კოლექტიურად. ყველა ინდივიდუალურად არსებითი სესხები და მოთხოვნები ფასდება კონკრეტულ გაუფასურებაზე. ყველა ინდივიდუალურად არსებითი სესხები და მოთხოვნები რომლებიც არ არის მიჩნეული გაუფასურებულად შემდგომ ჯგუფურად ფასდება გაუფასურებაზე რომელიც გაწეულია მაგრამ ჯერ არ არის იდენტიფირებული.

(ii) არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების გარდა) გადაიხედება ანგარიშგების წარდგენის ყოველი თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის აღდგენადი ღირებულება. არამატერიალური აქტივებისთვის განუსაზღვრელი მოხმარების ვადით ან რომლებიც ჯერ არ არის მოხმარებისთვის ხელმისაწვდომი, აღდგენადი ღირებულება ფასდება ყოველწლიურად ერთიდაიგივე დროს. გაუფასურების ზარალი აღიარდება თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მის სავარაუდო აღდგენად ღირებულებას აღმატება.

აქტივის აღდგენადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება (გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით) ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაუფასურების ტესტირების მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების შემოდინებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც ძირითადად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ფულადი შემოდინებისგან.

გაუფასურების ზარალი აისახება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის იმის თაობაზე, შემცირდა თუ არა ზარალი ან კვლავაც არსებობს თუ არა ზარალი. გაუფასურების ზარალი აღდგენილია თუ აღდგენადი ღირებულების დასადგენად გამოყენებულ შეფასებებშია ცვლილება. გაუფასურების ზარალი აღდგენილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღმატება იმ საბალანსო ღირებულებას, რაც იქნებოდა განსაზღვრული (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით) გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

(d) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

თავდაპირველად „კომპანიის“ მიერ ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება თვითღირებულებით. შემდგომ ძირითადი საშუალებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით, გარე დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ განხორციელებულ პერიოდულ შეფასებაზე დაყრდნობით, გამოკლებული შემდგომი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

აქტივის თვითდირებულება მოიცავს მის შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს. როდესაც მირითადი საშუალების ცალკეულ მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვთ, ისინი აღირიცხებან ცალ-ცალკე, როგორც აღნიშნული აქტივის შემადგენელი კომპონენტები (მირითადი კომპონენტები).

მირითადი საშუალებების გასვლით მიღებული წებისმერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ამონაგებსა და მირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები. გადაფასებული აქტივების გაყიდვის შემთხვევაში, ყველა დაკავშირებული თანხა რომელიც გათვალისწინებულია გადაფასების რეზერვში, როგორც გადაფასების ზედმეტობა, გადადის გაუნაწილებელ მოგებაში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

მირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ღირებულება აისახება ერთეულის საბალანსო ღირებულებაზე, თუ იგი უზრუნველყოფს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას „კომპანიაში“ და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. გამოცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. მირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

(iii) გადაფასება

გადაფასების შედეგად მირითადი საშუალებების ღირებულების ზრდა აისახება პირდაპირ გადაფასების რეზერვში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის აკომპენსირებს წინა პერიოდში გადაფასების ზარალს. ამ შემთხვევაში ის აღიარდება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში. გადაფასების შედეგად მირითადი საშუალებების ღირებულების შეცირება აისახება პირდაპირ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის აკომპენსირებს წინა პერიოდში გადაფასების რეზერვს. ამ შემთხვევაში ის აღიარდება პირდაპირ სხვა სრულ შემოსავალში.

(iv) ცვეთა

მირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზა მდგომარებოაში მოყვანის მომენტიდან, ან „კომპანიის“ შიდა ძალებით დამზადებულ აქტივთან მიმართებაში, მათი დასრულების და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის თარიღიდან. ცვეთა ეფუძნება აქტივის ღირებულებას, მისი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, მირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას.

მირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

- | | |
|---------------------------------------|-----------|
| • სატრანსპორტო საშუალებები | 5 წელი; |
| • უძრავი ინვენტარი და მოწყობილობები | 4-5 წელი; |
| • კომპიუტერი და ტექნიკური აღჭურვილობა | 4-5 წელი. |

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და, საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

(e) **სააქციო კაპიტალი**

ჩვეულებრივი აქციები

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. დამატებითი ხარჯები, რომელიც უკავშირდება ჩვეულებრივი აქციების და აქციების ოფციონების გამოშვებას აღიარებულია როგორც კაპიტალის შემცირება, გადასახადებით დაბეგვრის ეფექტის გათვალისწინებით.

(f) **თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი**

თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებლის ვალდებულებები იზომება არადისკონტირებული თანხით და აღიარდება ხარჯად შესაბამისი მომსახურების გაწევისთანავე. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმით და იმ შემთხვევაში, თუ „კომპანიას“ მოცემულ მომენტში აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, გადაიხადოს მომსახურე პერსონალის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების საფასური და ეს ვალდებულება შეიძლება საიმედოდ იქნას შეფასებული.

(g) **შემოსავალი**

კომპანიამ ფასს 15 თავდაპირველად 2018 წლის 1 იანვრიდან გამოყენა. ინფორმაცია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ მომხმარებლებთან დადებულ კონტრაქტებთან დაკავშირებით წარმოდგენილია შენიშვნა 6(с)-ში. ფასს 15-ის თავდაპირველი გამოყენების გავლენა აღწერილია შენიშვნა 3-ში.

2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული პოლიტიკა

(i) **ელექტროენერგიის რეალიზაცია**

შემოსავლები ელექტროენერგიის რეალიზაციიდან, ექსპორტის ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს კომპანიის ჩვეულ საქმიანობას, განისაზღვრება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. კომპანია არ ახორციელებს უკანდაბრუნებებს, სავაჭრო და რაოდენობრივ ფასდათმობებს. შემოსავლები ჩვეულებრივ აღიარდება მაშინ, როდესაც არსებობს გონივრული მტკიცებულება, როგორც წესი გაფორმებული სავაჭრო ხელშეკრულების სახით, რომლის მიხედვითაც მომხმარებელს გადაეცება ფლობასთან და შემოსავლებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები, ანაზღაურების მიღება მოსალოდნელია, დაკავშირებული ხარჯები და უკანდაბრუნებები შეფასებულია საიმედოდ, რეალიზებულ ელექტროენერგიისთან მიმართებაში მენეჯმენტის სამომავლო ჩართულობა არ არის საჭირო და შემოსავლების ოდენობა საიმედოდა შეფასებული. თუ მოსალოდნელია ფასდათმობა, რომლის ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა შესაძლებელია, მაშინ ასეთი ფასდათმობა აღიარებულ უნდა იქნას შემოსავლის შემცირებით მაშინ, როცა გაყიდვები აღიარდება.

საბალანსო ელექტროენერგიის რეალიზაციისას, რისკებისა და სარგებლის გადაცემა ხდება მაშინ, როდესაც ელექტროენერგია მიეწოდება ელექტროსისტემის იმ წერტილს, საიდანაც ნაწილდება მომხმარებელზე ელექტრო სადენების მეშვეობით და ელექტროენერგია ითვლება მიღებულად.

2014 წლის სექტემბრიდან, კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შესაბამისად, კომპანია მოქმედებს გარანტირებული სიმბლავრის შემცირების და რეალიზაციის ოპერაციაში, როგორც შემსრულებელი და შესაბამისად, აღიარებს შემოსავლებსა და რეალიზებული საქონლის თვითღირებულებებს. კომპანია არ არიცხავს საკომისიოს გარანტირებული სიმბლავრის შესყიდვასა და რეალიზაციაზე. 2014 წლის 1 სექტემბრამდე, გარანტირებული ელექტროენერგიის შესყიდვისა და რეალიზაციის პროცესში მოქმედებდა როგორც აგენტი და არა როგორც პირდაპირი მყიდველი.

(ii) მომსახურება

შემოსავლის აღიარება ხდება „კომპანიის“ მიერ შესაბამისი კანონმდებლობებისა და რეგულაციების ფარგლებში გაწეული მომსახურებების ფარგლებში, როდესაც შემოსავლის თანხა შესაძლოა საიმედოდ შეფასდეს და სავარაუდოა, რომ ოპერაციებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი „კომპანიაში“ შემოედინება.

(h) ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. სასესხო ხარჯები რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდება კვალიფიციური აქტივის შემენას, შექმნას ან წარმოებას აღიარდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება ან/და ზარალი აღირიცხება ნეტო საფუძველზე როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის გათვალისწინებით თუ სად აქცის ადგილი უცხოური ვალუტის მოძრაობას - წმინდა მოგების თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

საბალანსო ელექტროენერგიის ფასები დგინდება საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბრძანების - „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესები“ მიხედვით. საბალანსო ელექტროენერგიის ფასის ფორმირებაში, რომელიც მიეყიდება კვალიფიცირებულ საწარმოებს, იგივე საბაზრო წესების მიხედვით კომპანია ფასის წარმოებისას მხედველობაში იღებს საკურსო სხვაობით გამოწვეულ ცვლილებებს და ახდენს ფასის შესწორებას შესაბამისად.

(i) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადებს. მიმდინარე გადასახადები აღიარდება მოგება ან ზარალის უწყისში გარდა იმ ნაწილისა, რომელიც მიეკუთვნება ბიზნეს კომბინაციებს, პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

(j) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ანგარიშების წარდგენის თარიღისათვის, აგრეთვე, წინა წლის საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი დაზუსტება. მიმდინარე გადასახადი აგრეთვე მოიცავს დივიდენდების გამოცხადებასთან დაკავშირებულ გადასახადს.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიმუშს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია 2016 წლიდან და მოქმედებს საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ დასაბეგრ ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები

დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან მოგების განაწილების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. დაბეგვრის ობიექტი ასევე მოიცავს ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება პირის ეკონომიკურ საქმიანობას, უფასო მიწოდებას და ზღვარ გადაცილებულ წარმომადგენლობით ხარჯებს.

გადასახადის ჩათვლა შესაძლებელია 2008-2016 წლებში გაუნაწილებელ მოგებაზე მიმდინარე გადახდილი გადასახადისთვის, თუ ეს მოგება განაწილებულია 2018 ან მომდევნო წლებში.

დივიდენდების გადახდით წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები.

5. ახალი სტანდარტები და ახსნა-განმარტებები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

რამდენიმე ახალი სტანდარტი, სტანდარტების ცვლილებები და ინტერპრეტაციები არის ამოქმედებული 2018 წლის 1 იანვრიდან საანგარიშებო პერიოდებისთვის და არ გამოყენებულა წინამდებარე ფინანსური ანგარიშების მომზადებისას. ქვემოთ მოცემულია ის ცვლილებები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენენ „კომპანიის“ საოპერაციო საქმიანობაზე. „კომპანია“ გეგმავს ქვემოთ მოცემული სტანდარტების ათვისებას მათი ძალაში შესვლისთანავე.

ფასს 16 - იჯარები

ფასს 16 განსაზღვრავს ერთჯერად, საბალანსო იჯარის აღრიცხვის მოდელს იჯარებისთვის. მოიჯარე აღიარებს გამოყენების უფლების მქონე აქტივს, რაც წარმოადგენს მის უფლებას ისარგებლოს ქვემდებარე აქტივით და საიჯარო ვალდებულებას, რომელიც საიჯარო გადახდების განხორციელების ვალდებულებას წარმოადგენს. არსებობს აღიარების გამონაკლისები მოკლევადიანი იჯარებისთვის და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო ერთეულებისთვის. მეიჯარე აღიარებს სააღრიცხვო პროცედურები არსებულ სტანდარტს ჰგავს - ე.ი. მეიჯარე განაგრძობს იჯარების ფინანსური ან საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებას. ფასს 16 ჩაანაცვლებს შემდეგ არსებულ სტანდარტებს და ინტერპრეტაციებს: ბასს 17 (ლიზინგი), ფასივ 4 (როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არ შეთანხმება იჯარას), იმკ 15 (საოპერაციო იჯარა - სტიმულირება) და იმკ 27 (გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას). ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური ანგარიშების პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15-იც (ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან). „კომპანია“ აფასებს ფასს 16-ის გამოყენების პოტენციურ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, ფასს 16-ის დანერგავს არ ექნება მატერიალური გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშებაზე.

6. შემოსავალი და გაყიდვების თვითღირებულება

ლარი

	2018	2017
შემოსავალი საბალანსო ელექტროენერგიის რეალიზაციიდან	341,196,885	328,114,893
შემოსავალი გარანტირებული სიმძლავრის მომსახურებიდან	156,115,181	142,880,298
შემოსავალი ელექტროენერგიის ექსპორტიდან	19,086,610	23,676,747
შემოსავალი საქართველოს მთავრობის #923 განკარგულების საფუძველზე	6,465,202	-
შემოსავალი ფიქსირებული ტარიფის მქონე მომსახურებიდან	4,796,623	4,529,911
შემოსავალი პირდაპირი კონტრაქტით გაყიდული ელექტროენერგიის რეალიზაციიდან	-	2,557,677
სულ შემოსავალი	527,660,501	501,759,526

ლარი

	2018	2017
გაყიდული საბალანსო ელექტროენერგიის თვითღირებულება	(341,196,887)	(328,114,893)
გარანტირებული სიმძლავრის მომსახურების თვითღირებულება	(156,115,181)	(142,880,298)
ელექტროენერგიის ექსპორტის თვითღირებულება	(17,015,780)	(20,752,484)
თვითღირებულება საქართველოს მთავრობის #923 განკარგულების საფუძველზე	(6,465,202)	-
ელექტროენერგიის იმპორტის თვითღირებულება	-	(2,546,235)
კონვერტაციის თვითღირებულება	(32,010)	-
რეალიზებული ელექტროენერგიის/ გაწული მომსახურების ჯამური თვითღირებულება	(520,825,060)	(494,293,910)

„კომპანია“ ფლობს ბუნებრივ მონოპოლიას საბალანსო ელექტროენერგიის მიწოდებაზე. საბალანსო ელექტროენერგიის ფასწარმოქმნა დაფუძნებულია საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბრძანებაზე - „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესები“.

„კომპანიის“ მომსახურების ფიქსირებული ტარიფი - 0.00019 ლარი ოდენობით ყოველ კვ/სთ-ზე განისაზღვრება საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 აპრილით დათარიღებული N923-ე დადგენილების მიხედვით, 2018 წლის განმავლობაში, კომპანია მოქმედება როგორც ფინანსური აგენტი . 2015 წლის 9 აპრილს საქართველოს და თურქეთის მთავრობამ გააფორმეს ხელშეკრულება ენერგეტიკულ სექტორში თანამშრომლობის შესახებ. მოცემული ხელშეკრულების მე-11 მუხლის თანახმად, საქართველოს მთავრობამ დაადასტურა ელექტროენერგიის ვალის მთაიანი ღირებულების დაბრუნება თურქეთზე (1,000,000,000 კვ/სთ). საქართველოს მხრიდან ელექტროენერგიის მიმწოდებლად არჩეულ იქნა სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“, ხოლო თურქეთის მხრიდან ელექტროენერგიით მოვაჭრე კომპანია „TETAS“-ი.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 აპრილით დათარიღებული N923-ე დადგენილების მიხედვით, გაიცა ბრძანება, რომ სს „ESCO“-მ შეიძინოს ელექტროენერგია ენგურის ჰიდროელექტროპოლასადგურისგან და მომსახურე ორგანიზაციებისგან და გადასცეს TETAS-ს უსასყიდლოდ. 2018 წელს ენგურქესისგან და მომსახურე ორგანიზაციებიდან შეძენილი ელექტროენერგიის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 6,465,202 ლარი. ამავე ბრძანებებით N923, მთავრობა ფარავს ზემოთაღნიშნული საქმიანობიდან წარმოშობილი ხარჯების ნახევარს კომპანიის გაუნაწილებელი მოგებიდან, ხოლო დანარჩენი ხარჯი დაფარულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ.

N923-ე დადგენილების მიხედვით, ელექტროენერგიის შემენისა და მომარაგების ოპერაციებში კომპანია მოქმედებდა როგორც შუამავალი, საქართველოს და თურქეთის მთავრობებს შორის. კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით, აღნიშნულ ოპერაციებში, კომპანია მოქმედს როგორ აგენტ და არა როგორც პრინციპალი.

მენეჯმენტი ითვალისიტებს შემდგე ფაქტორებს პრინციპალის და აგენტის განსხავებისას:

- კომპანი არ იღებს საქონლის საკუთრების უფლებას და არ აქვს პასუხისმგებლობა გაყიდულ საქონელზე.
- კომპანია არ ირჩევს მომხმარებელს და/ან ელექტროენერგიის მომწოდებელს ელექტროენერგიის შესაძენად.
- კომპანიას არ აქვს რაიმე საკრედიტო რისკი შეძენილი ელექტროენერგიისთვის.
- კომპანიას არ შეუძლია გავლენა მოახდინოს გასაყიდ ფასებზე, რომელიც არის ანალოგი შესყიდვის ფასის და დადგენილია ელექტროენერგიის მომწოდებლის მიერ.

ფასს 15-ის თავდაპირველი გამოყენების გავლენა კომპანიის მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებულ შემოსავალზე აღწერილია შენიშვნა 3-ში. ფასს 15-ის გამოყენებისას შერჩეული გადასვლის მეთოდების გამო, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული ახალი მოთხოვნების ასახვის მიზნით.

(a) კლიენტებთან დადებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლის განაწილება

ქვემოთ ცხრილში მოცემულია კლიენტებთან დადებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლის განაწილება მირითადი გეოგრაფიული ბაზრების, მირითადი შემოსავლის წყაროების და შემოსავლის აღიარების ვადების მიხედვით:

ძირითადი გეოგრაფიული ბაზრები	2018	2017
ადგილობრივი	490,846,864	473,552,868
უცხოური	30,348,435	28,206,658
სულ შემოსავალი	521,195,299	501,759,526

(b) საკონტრაქტო ნაშთები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კლიენტებთან დადებული კონტრაქტებიდან მისაღები მოთხოვნების შესახებ დამატებითი ინფორმაცია:

	2018	2017
მოთხოვნები, რომლებიც შეყვანილია საკურო მოთხოვნებში	73,377,851	35,000,284

საქმიანობის ბუნებიდან გამომდინარე, კომპანიას არ აქვს სახელშეკრულებო აქტივები ან ვალდებულებები კლიენტებთან დადებული კონტრაქტებიდან.

(c) ვალდებულებების შესრულება და შემოსავლის აღიარების პოლიტიკები

კომპანია აღიარებს შემოსავალს როდესაც იგი საქონლის ან სერვისის კონტროლს გადასცემს კლიენტს, იხილეთ შენიშვნა 3(b).

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“
2018 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია ვალდებულებების შესრულების ვადიანობის შესახებ, ამასთანვე არსებითი საგადახდო პირობების და მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარების პოლიტიკების გათვალისწინებით.

პროდუქტის/სერვისის ტიპი	ვალდებულებების დაკავშირების არსი, მათ შორის არსებითი საგადახდო პირობები	შემოსავლის აღიარება ფასს 15-ის თანახმად (გამოიყენება 2018 წლის 1 იანვრიდან)	შემოსავლის აღიარება ფასს 15-ის თანახმად (გამოიყენება 2018 წლის 1 იანვრამდე)
ელექტროენერგიის გაყიდვა (ადგილობრივ და უცხოურ ბაზრებზე), მოიცავს: - საბალანსო ელექტროენერგიას; - გარანტირებული სიმძლავეებს; - ელექტროენერგიის იმპორტს და ექსპორტს;	კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე განხოციელებული გაყიდვების შედეგად როგორც ადგილობრივ ასევე უცხოურ ბაზრებზე, კლიენტები მოიპოვებენ კონტროლს ელექტროენერგიაზე მისი შესყიდვის დროს. კომპანიის მიერ ტარიფის დათველა ხდება ყოველთვიურად შესყიდული ელექტროენერგიის ღირებულებიდან გამომდინარე გაყიდვებთან დაკავშირებით ფასდაკლებები არ არსებობს.	შემოსავლის აღიარება ხდება დროის გარკვეულ მომენტში, კერძოდ - გაყიდვის დროს.	შემოსავლის აღიარება ხდებოდა კონტროლის გადაცემის მომენტისთვის. კონტროლის გადაცემა ხდებოდა გაყიდვის დროს. კომპანიას არ ჰქონდა შეთავაზებები ფასდაკლებებთან დაკავშირებით.
კლიენტებისთვის სერვისების მიწოდება (ადგილობრივი და უცხოური) მოიცავს ფიქსირებული ტარიფის დარიცხვას გაწეული მომსახურებიდან	კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე განხოციელებული გაყიდვების შედეგად კომპანია მიიღებდა ფიქსირებულ ტარიფს გაწეული მომსახურებისთვის (შენიშვნა 6). ტარიფის ამოღება ხდებოდა ელექტროენერგიის შესყიდვის მომენტისთვის. გაყიდვებთან დაკავშირებით ფასდაკლებები არ არსებობს.	შემოსავლის აღიარება ხდება დროის გარკვეულ მომენტში, კერძოდ - გაყიდვის დროს.	შემოსავლის აღიარება ხდებოდა ელექტროენერგიის გაყიდვის მომენტისთვის. კომპანიას არ ჰქონდა შეთავაზებები ფასდაკლებებთან დაკავშირებით.

7. წმინდა ფინანსური შემოსავალი

ლარი	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანგარიშებზე	2,081,413	1,642,624
უცხოურ ვალუტაზე საკურსო სხვაობით მიღებული წმინდა მოგება	-	356,036
ფინანსური შემოსავალი	2,081,413	1,998,660
უცხოურ ვალუტაზე საკურსო სხვაობით მიღებული წმინდა ზარალი	(142,207)	-
ფინანსური ხარჯები	(142,207)	-
წმინდა ფინანსური შემოსავალი აღიარებული მოგებაში ან ზარალში	1,939,206	1,998,660

8. ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2018	2017
ხელფასები	2,694,128	2,726,510
იჯარა	1,000,000	1,000,000
ცვეთა და ამორტიზაცია	135,465	75,090
წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯები	109,622	40,448
კომუნალური ხარჯები	41,845	78,501
საოფისე ხარჯები	34,781	2,806
საოფისე აღჭურვილობა	28,365	29,796
ავტომობილების რემონტისა და მოვლის ხარჯები	24,985	21,299
საწვავი	24,070	18,489
პროფესიონალური მომსახურებები	19,712	23,304
დაზღვევა	10,153	14,042
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	4,628	9,471
სხვა ხარჯები	60,946	49,701
4,188,700	4,089,457	

ზემოთ მოცემული პროფესიონალური მომსახურება მოიცავს აუდიტორული კომპანიისათვის, აუდიტორული და სხვა პროფესიული მომსახურების გაწევისთვის გადახდილ თანხებს დახლოებით 20 ათასი ლარის ოდენობით.

9. უიმედო ვალის ხარჯი/(უიმედო ვალის ხარჯის აღდგენა)

ლარი	შენიშვნა	2018	2017
ანარიცხები სავაჭრო მოთხოვნებზე	16(b)(ii)	5,062,542	-
სხვა უიმედო ვალის ხარჯი		-	230,057
ადრე ჩამოწერილი უიმედო ვალის აღდგენა	16(b)(ii)	-	(2,899,275)
გაუფასურების ზარალი სავაჭრო მოთხოვნებზე და/(უიმედო ვალის ხარჯის აღდგენა)		5,062,542	(2,669,218)

2018 წლის განმავლობაში მოხდა კომპანიის მიერ ხელშეკრულებების გაფორმება ახალ კლიენტებთან. ამათგან ორი კლიენტის მიმართ მოთხოვნები 100%-ით დარეზერვებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ერთ-ერთი კლიენტი, რომლესაც აღერიცხება 2,619,859 ლარის ნაშთი, გადახდის უუნაროა, ხოლო მეორე, რომლესაც აღერიცხება 2,031,868 ლარის ნაშთი ფინანსური სირთულეების წინაშე დადგა. 2018 წლის 31 დეკემბერს, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შეფასებაში ეს ნაშთები წარმოდგენილია დეფოლტის კატეგორიაში, ნაშთების დაბრუნების ნოლი აღბათობით, რის გამოც კომპანიის მენეჯმენტმა გადაწყვიტა ამ ნაშთების მიმართ 100%-იანი რეზერვის გამოყენება.

2017 წლის განმავლობაში დაბრუნებული რეზერვის თანხები მიეკუთვნება ერთ-ერთ კონტრაპენტს, სს კახეთის ენერგოდისტრიბუციას, და აღიარებული იყო 2016 წლის განმავლობაში. რეზერვის ჩამოყალიბება მოხდა ფაქტებზე დაყრდნობით, როდესაც ცნობილი გახდა, რომ ფინანსური სირთულეების გამო კონტრაპენტი გადახდის უუნარო გახდა. 2017 წლის განმავლობაში კომპანიის წილი იყიდა ახალმა აქციონერმა, რომელმაც ვალდებულება დაფარა.

10. მოგების გადასახადი

(a) მოგება ან ზარალში აღიარებული თანხები

„კომპანიის“ მოქმედი საგადასახადო განაკვეთი არის 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთი საქართველოს კომპანიებისთვის.

	2018	2017
მიმდინარე გადასახადის ხარჯი	112,741	-
მიმდინარე წელი	112,741	-
სულ გადასახადის ხარჯი	112,741	-

(b) ეფექტური საგადასახადო განაკვეთის შეჯერება

	2018		2017	
	'000 ლარი	%	'000 ლარი	%
გადახდილი დივიდენდები	3,234,600	-	-	-
	3,234,600	-	-	-
 მოგების გადასახადით დასაბური დივიდენდები	3,234,600	24,000	-	-
გადასახადი ადგილობრივი	570,683	17.64	4,262	18
საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით დივიდენდებზე საგადასახადო	(457,942)	(14.16)	(4,262)	(18)
ვალდებულების ჩათვლა	112,741	3.49	-	-
მოგების გადასახდის ხარჯი				

საქართველოს საგადასახდო კოდექსის, 309-ე მუხლის, 92-93-ე ნაწილის თანახმად, საგადასახდო შეღავათით სარგებლობაა შესაძლებელია, მიმდინარე მოგების გადასახადზე, რომელიც გადახდილია 2008-2016 წლის გაუნაწილებელი მოგებიდან.

2018 და 2017 წლებში დივიდენდების გამოცხადება მოხდა 2018-2016 წლის გაუნაწილებელი მოგებიდან.

11. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	სატრანსპორტო პარატურა და კომპიუტერები და საშუალებები მოწყობილობები მოწყობილობები	სულ
თვითღირებულება ან სავარაუდო ღირებულება/გადაფასებული ღირებულება		
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	140,278	126,201
შესყიდვები	-	11,845
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	140,278	138,046
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	140,278	138,046
შესყიდვები		34,009
გაყიდვები		(3,207)
გადაფასება	30,889	24,531
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	171,158	193,379
ცვეთა და გაუფასურების ზრდა		
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	(58,788)	(57,083)
წლის ცვეთა	(17,240)	(16,963)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	(76,028)	(74,046)
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	(76,028)	(74,046)
წლის ცვეთა	(17,240)	(19,566)
გაყიდვები		1,590
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	(93,268)	(92,022)
სამაღანსო ღირებულება		
2017 წლის 1 იანვარი	81,490	69,118
2017 წლის 31 დეკემბერი	64,250	64,000
2018 წლის 31 დეკემბერი	77,890	101,357
არ მომხდარი სამაღანსო ღირებულების გადაფასება		
2017 წლის 1 იანვარი	4,990	31,869
2017 წლის 31 დეკემბერი	-	23,214
2018 წლის 31 დეკემბერი	26,210	262,396

(a) ძირითადი საშუალებების გადაფასება

2018 წელს, ხელმძღვანელობამ დაიქირავა დამოუკიდებელი შემფასებელი ძირითადი საშუალებების დამოუკიდებელი შეფასებისთვის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა 463,345 ლარის ოდენობით 2018 წლის 31 დეკემბრისათვის. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომაროებით ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება იყო 195,361 ლარის ოდენობით.

ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება თავდაპირველად განისაზღვრა ღია ბაზარზე მსგავსი ტიპის ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულების მეშვეობით, რომელიც გადანაწილდა სამართლიანი ღირებულების მე-2 დონეზე.

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი

საბალანსო ელექტროენერგია
გარანტირებული სიმძლავრე
გაწეული მომსახურება
პირდაპირი ხელშეკრულებები
წინასწარგადახდები
სხვა მოთხოვნები (ჯარიმები)

	2018	2017
	57,018,952	30,316,115
	15,517,048	4,261,767
	463,261	413,525
	170,535	-
	103,350	116,946
	208,055	8,877
	73,481,201	35,117,230

კომპანიის დაქვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკზე და ფინანსური აქტივების და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი განხილულია მე-16 შენიშვნაში.

13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

‘000 ლარი

საბანკო ნაშთები
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი სახსრების მომრაობის ანგარიშგებაში

	2018	2017
	12,828,155	13,414,057
	12,828,155	13,414,057

ანაბარი მოთხოვნამდე წარმოადგენს მოთხოვნად ანაბრებს 3-თვიანი ან ნაკლები ხანდაზმულობით შეძენის თარიღიდან.

„კომპანიის“ საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი წარმოდგენილია მე-16 შენიშვნაში.

14. კაპიტალი და რეზერვები

(a) სააქციო კაპიტალი

აქციათა რაოდენობა
ავტორიზებული აქციები
ნომინალური ღირებულება
გამოშვებული 31 დეკემბერს

	ჩვეულებრივი აქციები	
	2018	2017
	87,309	87,309
	GEL 1	GEL 1
	87,309	87,309

ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციების მფლობელები უფლებამოსილნი არიან მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და მათ გააჩნიათ თითო აქციაზე ერთი ხმის უფლება „კომპანიის“ აქციონერთა კრებაზე.

(b) დივიდენდები

გადასახდელი დივიდენდები შეზღუდულია „კომპანიის“ მაქსიმალური გაუნაწილებელი მოგებით, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, „კომპანიის“ გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, რომელიც განსაზღვრულია „კომპანიის“, ფასს-ის შესაბამისად მომზადებულ ნორმატიულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2018 წელს „კომპანიამ“ გადაიხადა დივიდენდები 3,231,600 ლარის ოდენობით, 2018 წლის 27 აპრილით დათარიღებული საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება N923-ის მიხედვით, და 3,000 ლარის ოდენობით საწევრო (2017 წელს: 24,000 ლარი). დივიდენდის გადახდაზე და მთვარობის გადაწყვეტილებაზე N923 დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-6 შენიშვნაში. დივიდენდები გადანაწილდა 208-2016 წლის გაუნაწილებელი მოგებიდან.

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები

'000 ლარი	შენიშვნა	2018	2017
საბალანსო ელექტროენერგია გარანტირებული სიმძლავრე მიღებული მომსახურება	56,306,946	30,786,328	4,180,710
საექსპორტო ელექტროენერგია	15,610,971		388,714
სხვა ვალდებულებები	429,556		137,490
	682,824		78,989
	66,492		78,989
	73,096,789		35,493,242

„კომპანიის“ სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებულ სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარება წარმოდგენილია მე-16 შენიშვნაში.

16. სამართლიანი ღირებულება და რისკის მართვა

(a) სააღრიცხვო კლასიფიკაცია და სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია ყველაზე ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის სტანდარტული ოპერაციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას.

„კომპანიამ“ განსაზღვრა სამართლიანი ღირებულება შეფასების მეთოდის გამოყენებით. შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ფასის განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ოპერაციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის. შეფასების მეთოდი წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი სახსრების მოდელს.

„კომპანიის“ შეფასების თანახმად, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება არ სებითად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, „კომპანია“ დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი (იხ. i);
- ლიკვიდურობის რისკი (იხ. ii);
- საბაზრო რისკი (იხ.iii)

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას „კომპანიაზე“ ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისათვის „კომპანიის“ მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების და „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხმობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშებაში.

(i) რისკების მართვის სტრუქტურა

„კომპანიის“ ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა „კომპანიის“ რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. „კომპანიის“ ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს ორგანიზაციის რისკების მართვის პოლიტიკას.

„კომპანიის“ რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია „კომპანიაზე“ რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტების და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და „კომპანიის“ საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. „კომპანიას“ მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება თავისი როლი და ვალდებულება.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის „კომპანიის“ ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვრელი მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი „კომპანიას“ ძირითადად წარმოეშვება სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებიდან და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ დაქვემდებარებას საკრედიტო რისკზე. მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე საანგარიშგებო თარიღისთვის იყო შემდეგი:

ლარი	საბალანსო ღირებულება	
	2018	2017
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	73,377,851	35,000,284
ფულადი სახსრები და მათი კვივალენტები	12,828,155	13,414,057
	86,206,006	48,414,341

სავაჭრო მოთხოვნები

საკრედიტო რისკის მიმართ „კომპანიის“ დამოკიდებულებაზე ძირითადად მოქმედებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალურ მახასიათებლები. ამასთან, ხელმძღვანელობა ასევე განიხილავს „კომპანიის“ მომხმარებელთა დემოგრაფიულ მონაცემებს, იმ მრეწველობებისა და ქვეყნის რისკების ჩათვლით, რომლებმიც მომხმარებლები მოღვაწეობენ, რადგან ამ ფაქტორებმა შეიძლება გავლენა იქონიონ საკრედიტო რისკზე. „კომპანიის“ შემოსავლის დაახლოებით 46% (2017 წელს: 45%) წარმოადგენს გაყიდვის ოპერაციებს ერთ მომხმარებელთან - სს „ენერგო პრო ჯორჯია“. „კომპანიის“ საექსპორტო გაყიდვები თურქეთში, რუსეთში, სომხეთში, და აზერბაიჯანში, 2018 წლის მთლიანი საექსპორტო გაყიდვებიდან მოიცავს 58%, 21.0%, 0 % და 21%, შესაბამისად (2017 წელს: რუსეთი 51.7 %, სომხეთი 32.0%, თურქეთი 15.1% და აზერბაიჯანი 1.2 %).

„კომპანიის“ ხელმძღვანელობამ შექმნა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება თითოეული მომხმარებლის გადახდისუნარიანობის ანალიზი, სანამ მოხდება „კომპანიის“ სტანდარტული გადახდისა და მიწოდების პირობების შეთავაზება. „კომპანიის“ განხილვა/შემოწმება მოიცავს ინფორმაციის ანალიზს გარე წყაროებზე დაყრდნობით, მათი ხელმისაწვდომობის შემთხვევაში.

კანონმდებლობაში შესული ცვლილებების შესაბამისად, 2014 წლის 1 სექტემბრიდან, კომპანია წარმოდგენილია როგორც შემსრულებელი და თავის თავზე იღებს ყველა არსებულ საკრედიტო რისკს გაყიდულ ელექტროენერგიისათან დაკავშირებით (საბალანსო და გარანტირებული ელექტროენერგია). კომპანია ასევე ვალდებულია გადაუხადოს დავალიანება ელექტროენერგიის მწარმოებელ კომპანიებს წარმოებული და მიწოდებული ელექტროენერგიისთვის (საბალანსო და გარანტირებული ელექტროენერგია).

სს „კომპანიების კომუნიკაციული თავმართვის“
2018 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

„კომპანიის“ მომხმარებელთა 90%-ზე მეტს ოთხ წელზე მეტია საქმიანი ურთიერთობა აქვს „კომპანიასთან“ და ზარალს იშვიათად ჰქონდა ადგილი. მომხმარებლის საკრედიტო რისკის მონიტორინგისას მომხმარებლები დაჯგუფებულები არიან მათი საკრედიტო მახასიათებლების, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, ხანდაზმულობისა და ვადაგადაცილების ისტორიის, ასევე წინა პერიოდებში ფინანსური სირთულეების არსებობის მიხედვით. მისაღები ანგარიშები მიეკუთვნება „კომპანიის“ საბითუმო მომხმარებლებს. ამჟამინდელი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს წინასწარ გარანტიებს, შესაბამისად კომპანია არ მოითხოვს გირაოს სავაჭრო დებიტორული დავალიანებისათვის.

„კომპანია“ განსაზღვრავს გაუფასურების რეზერვს რაც ასახავს მის სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებულ გაწეული ზარალის ვარაუდს. ამ რეზერვის ძირითადი კომპონენტებია მნიშვნელოვან ინდივიდუალურ დაქვემდებარებასთან დაკავშირებული სპეციფიკური ზარალი და მსგავსი აქტივების ჯგუფებისათვის დადგენილი ზარალი, რომელიც დადგა, მაგრამ ჯერ არ არის გამოვლენილი. კოლექტიური ზარალის რეზერვი განისაზღვრება მსგავსი ფინანსური აქტივების გადახდის სტატისტიკაზე დაყრდნობით.

„კომპანიის“ სავაჭრო მოთხოვნების 99%-ს საანგარიშგებო თარიღისთვის შეადგენენ შიდა საბითუმო მომხმარებლები. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით „კომპანიას“ ჰყავდა ოთხი შიდა საბითუმო მომხმარებელი (2017 წელს: ოთხი მომხმარებელი) და ისინი წარმოადგენდნენ მთლიანი სავაჭრო მოთხოვნების 98%-ზე მეტს (2017 წელს: 98%).

გაუფასურების ზარალი

სავაჭრო მოთხოვნების ხანდაზმულობა საანგარიშგებო თარიღისთვის იყო შემდეგი:

ლარი	კრედიტი გაუფასურებული	ბრუტო		გაუფასურება	
		2018	2018	2017	2017
დაბალი რისკი	არა	73,788,666	(410,815)	35,000,284	-
მაღალი რისკი (შენიშვნა 9)	კი	4,651,727	(4,651,727)	-	-
		78,440,851	(5,062,542)	35,000,284	-

კლიენტის საკრედიტო რისკის მონიტორინგის დროს, კლიენტები ჯგუფდებიან მათი საკრედიტო მახასიათებლების მიხედვით, მათ შორის იმის მიხედვით, ისინი ფიზიკური პირები არიან თუ იურიდიული, ვადიანობის პროფილის, დაფარვის ვადის და ადრე არსებული ფინანსური სირთულეების მიხედვით.

დაბალი რისკი - კლიენტს აქვს მძლავრი შესაძლებლობა დაფაროს მცირე ვადიანი საკონტრაქტო ფულადი ვალდებულებები, ხოლო გრძელვადიან ეკონომიკურ და ბიზნეს გარემოს უარყოფით ცვლილებებს სავარაუდოდ არ ექნება უარყოფითი გავლენა მის შესაძლებლობაზე დაფაროს კონტრაქტებით გათვალისწინებული ფულადი ვალდებულებები. საშუალო შეწონილი გაუფასურების რეზერვის პროცენტი დაბალი რისკის მქონე მოთხოვნებისთვის არის დაახლებით 0.01%

მაღალი რისკი - კომპანიებს აქვთ ნაკლები შესაძლებლობა საკუთარი სახელშეკრულებო ფულადი ვალდებულებების დაფარვისა უახლოეს მომავალში და არასასურველი ცვლილებები ბიზნეს გარემოში და ეკონომიკაში შორეულ პერსპექტივაში ზრდის კომპანიის მიერ ვალდებულებების ვერ დაფარვის ალბათობას. საშუალო შეწონილი დანაკარგის მაჩვენებლი მგავსი მოთხოვნებისთვის არის 90-100 %.

კომპანია ადგენს გაუფასურების რეზერვს რაც წარმოადგენს მისი მოსალოდნელი ზარალის შეფასებას სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში. მოცემული რეზერვის ძირითადი კომპონენტი არის ჯგუფური ზარალის კომპონენტი. კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება ადგილობრივი კლიენტებისგან რომლებსაც კომპანიასთან აქვთ სამუშაო ურთიერთობების გრძელვადიანი გამოცდილება და კარგი საკრედიტო ისტორია.

სს „კლუბტროუნერგებიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“
2018 წლის ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები

წლის განმავლობაში სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში გაუფასურების რეზერვში მოძრაობა იყო შემდეგი:

'000 ლარი	გაუფასურების რეზერვი	
	2018	2017
ნაშთი წლის დასაწყისში	-	(2,196,831)
გაფასურების ზარალის აღიარება მოთხოვნებზე, რომლებიც არ არის გაუფასურებული კრედიტით.	(410,815)	-
გაფასურების ზარალის აღიარება მოთხოვნებზე, რომლებიც არის გაუფასურებული კრედიტით.	(4,651,727)	-
ჩამოწერილი მოთხოვნების აღდგენა (შენიშვნა 9)	-	2,196,831
ნაშთი წლის ბოლოს	(5,062,542)	-

365 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულ საცალო კლიენტების მთლიან სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე გამოყენებულ იქნა 100%-იანი გაუფასურების განაკვეთი, უფრო მოკლე პერიოდით ვადაგადაცილებულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე გამოყენებულ იქნა უფრო დაბალი გაუფასურების განაკვეთი. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიში გამოიყენება გაუფასურების ზარალის აღრიცხვისთვის მანამ სანამ კომპანია არ შეჯერდება იმ აზრზე, რომ აღარ არის მისაღები თანხის ამოღება შესაძლებელი; ამ დროს ეს ოდენობა მიჩნეულია არა-აღდგენადად და პირდაპირ ჩამოწერება ფინანსური აქტივიდან.

(iii) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანია“ ფლობდა 12,828,155 ლარის ოდენობით ფულად სახსრებს (2017 წელს: 13,414,057 ლარი), რაც წარმოადგენს ამ აქტივებზე მის მაქსიმალურ საკრედიტო დამოკიდებულებას. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შენახულია საქართველოს წამყვან ბანკში, რომლის მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგი (სარეიტინგო სააგენტო Fitch-ის მიხედვით) არის B.

ხელმძღვანელობას არ მიაჩნია რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების გაუფასურება შეფასებულია 12-თვიანი მოსალოდნებლი ზარალის საფუძველზე და ასახავს დამოკიდებულების მოკლე ვადიანობას. კონტრაპენტების გარე საკრედიტო შეფასებებზე დაყრდნობით კომპანია მიიჩნევს, რომ მის ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი.

ფასს 9-ის თავდაპირველი გამოყენებისას არ იქნა აღიარებული დამატებითი გაუფასურების რეზერვი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. რეზერვის ოდენობა არ შეცვლილა 2018 წლის განმავლობაში.

(iv) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ „კომპანია“ ვერ შესძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრებით ან ფინანსური აქტივებით. ლიკვიდურობის მართვაზე კომპანიის მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია, ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა, როგორც ჩვეულ, ისე - სტრესულ სიტუაციებში, მისი რეპუტაციის რისკის ქვეშ დაყენების და დანაკარგების წარმოშობის გარეშე.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მთლიანად განთავსებულია მიმდინარე ანგარიშზე ბანკში, რომელიც ასევე ამყარებს „კომპანიის“ ლიკვიდურობას.

მომდევნო ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადიანობა, სავარაუდო საპროცენტო გადახდების ჩათვლით და ურთიერთჩათვლის ხელშეკრულებების გავლების გამოკლებით:

31 დეკემბერი 2018

ლარი	საბალანსო ღირებულება	ხელშეკრულებით	
		განსაზღვრული ფულადი ნაკადების მოძრაობა	2 თვეზე ნაკლები
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	73,096,789	73,096,789	73,096,789

31 დეკემბერი 2017

ლარი	საბალანსო ღირებულება	ხელშეკრულებით	
		განსაზღვრული ფულადი ნაკადების მოძრაობა	2 თვეზე ნაკლები
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	35,572,231	35,572,231	35,572,231

არ არის მოსალოდნელი, რომ ხანდაზმულობის ანალიზში ნაჩვენები ფულადი ნაკადების მოძრაობა განხორციელდეს მნიშვნელოვნად ადრე ან მნიშვნელოვნად განსხვავებული თანხებით.

(v) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „კომპანიის“ მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

„ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესები“-ს მიხედვით რომელიც გამოცემულია საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ, კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი სავალუტო რისკი.

(c) კაპიტალის მართვა

კომპანიის ხასიათიდან გამომდინარე, კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა. ამასთანავე, კომპანია არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალის მოთხოვნებს.

17. პირობითი ვალდებულებები

(a) სასამართლო დავა

ხელმძღვანელობის აზრით, ადგილი არ აქვს მიმდინარე სამართლებრივ საქმეთწარმოებას ან სხვა დარჩენილ დავას, რამაც შესაძლოა არსებითად იმოქმედოს „კომპანიის“ ფუნქციონირებასა და ფინანსურ მაჩვენებლებზე, და რომლებიც არ არის დარიცხული ან განხილული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

(b) საგადასახადო პირობითი ვალდებულებები საქართველოში

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მისთვის დამახასიათებელია კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილება, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგარად განიმარტება. საგადასახადო წელიწადი შეიძლება გადაიხედოს საგდასახადო ორგანოების მიერ სამი მომდევნო წლის განმავლობაში, თუმცა კონკრეტულ შემთხვევებში საგადასახადო წელიწადი შეიძლება უფრო დიდხანს დარჩეს დაუხურავი.

ზემოთხსენებული საგადასახადო ვითარებები ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითა, ვიდრე სხვა ქვეყნებში, უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემებით. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების,

ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს და წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე მათი გავლენა (იმ შემთხვევაში, თუ უწყებები წარმატებით განახორციელებენ მათ ინტერპრეტაციებს) შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს.

(c) ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები

„კომპანიას“ გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ახალი ჰიდროელექტრო სადგურების, თერმოელექტრო სადგურებისა და ქარის ელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერგიის შესყიდვაზე. მთლიანობაში 48 (2017 წელს: 40 ხელშეკრულება) ამგვარი ხელშეკრულება გაფორმდა. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის მშენებარე ელექტროსადგურები და მათი დასრულება 2019-2020 წლებში იგეგმება. 2018 წელს ხუთი ელექტროსადგურის მშენებლობა დასრულდა (2017 წელს: ოთხი ელექტროსადგური). ხელმძღვანელობის აზრით, ამგვარი ხელშეკრულებები წარმოადგენს „მომავალში შესრულების ხელშეკრულებებს“ და ისინი არ არიან დამამდიმებელი ხელშეკრულებები ბასს 37-ის (ანარიცები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები) შესაბამისად. შეუძლებელია შემოსავლის მიახლოებითი რაოდენობის და იმ გაყიდვების თვითღირებულების ობიექტურად შეფასება, რომლებიც „კომპანიას“ წარმოექმნება მშენებლობის დასრულების და ელექტროსადგურების მიერ ელექტროენერგიის გამომუშავების დაწყების შემდეგ.

18. დაკავშირებული მხარეები

(a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

„კომპანიის“ დამფუძნებელი და ერთადერთი მაკონტროლებელი მხარე არის საქართველოს მთავრობა. კომპანიის აქციების 100%-იანი მფლობელი არის სს „საპარტნიორო ფონდი“ (როგორც სახელმწიფო ორგანიზაცია), მიუხედავად ამისა, 100% წილის მართვის უფლება აქვს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს.

სს „საპარტნიორო ფონდი“ გამოსცემს საჯაროდ ხელმისაწვდომ, ფასს სტანდარტებთან შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებას.

(b) ოპერაციები კომპანიის მმართველ ხელმძღვანელობასთან

(i) მმართველი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც გათვალისწინებულია „ხელფასები და ბონუსები“ (იხილეთ შენიშვნა 8):

ლარი	2018	2017
ხელფასები და ბონუსები	361,600	377,473

(c) ოპერაციები საქართველოს მთავრობასთან

სს „საპარტნიორო ფონდი“ ფლობს „კომპანიის“ აქციების 100%-ს (2017 წელს: 100%), ხოლო 100% წილის მართვის უფლება აქვს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს (2017: 100%) და ეს საკუთრება მთავრობას „კომპანიაზე“ მნიშვნელოვანი გავლენის საშუალებას აძლევს. გარდა ამისა, „კომპანია“ ყოველდღიურად ურთიერთობს ისეთ კომპანიებთან, რომლებიც კონტროლდება მთავრობის მიერ ან მთავრობის მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ იმყოფებიან. „კომპანია“ იყენებს გათავისუფლების უფლებას ბასს 24 დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნებიდან, რაც უფლებას აძლევს არასრულად წარმოადგინოს დაკავშირებულ მხარეთა ის განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც ეხება ოპერაციებს სახელმწიფოსთან დაკავშირებულ საწარმოებთან.

ერთობლივად, მაგრამ არა ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ოპერაციები

„კომპანია“ ფუნქციონირებს ენერგეტიკის სფეროში, რომელშიც დომინირებენ საქართველოს მთავრობის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ, მთავრობასთან დაკავშირებული საწარმოების მეშვეობით, კონტროლირებადი კომპანიები.

ეს ოპერაციები ხორციელდება „კომპანიის“ ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში, სადაც „კომპანია“ არ განსხვავდება სხვა კომპანიებისგან, რომლებიც მთავრობასთან არ არიან დაკავშირებულნი. პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის მიზნით „კომპანიამ“ დახერგა შესყიდვის პოლიტიკები და პროდუქტებისა და მომსახურებების შესყიდვის დამტკიცების პროცესები, რომლებიც დამოუკიდებელი არიან იმ ფაქტისგან, არიან თუ არა კონტრაჰენტები მთავრობასთან დაკავშირებული თუ არა.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ „კომპანიის“ სახელმწიფოსთან დაკავშირებულ სხვა სუბიექტებთან მნიშვნელოვანი ოპერაციები შეადგნს სულ მცირე 38%-ს (2017 წელს: 23%) საბალანსო ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის გაყიდვიდან და 1 %-ს საბალანსო ელექტროენერგიისა და გარანტირებული სიმძლავრის შეძენიდან (2017 წელს: 1.3% და 2.9%-ს შორის).